პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 აპრილი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 70 (9481) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობას შეუდგა

**როგორც** ცნობილია, მოსწავლეთა ტრადიციული სპარტაკიადის ნაცვლად, წელს ჩატარდება სპორტული სკოლების აღსაზრდელთა პირველი საკავშირო თამაშები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა უმასპინძლებს.

ნორჩ სპორტსმენთა ამ დიდი ფორუმისთვის გულმოდგინედ ემზადებიან საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, მთელი საზოგადოებრიობა. შტაბები შეიქმნა როგორც რესპუბლიკის განათლების სამინისტროში, ისე საქართველოს სპორტსახკომში. და აი, გუშინ მუშაობას შეუდგა თამაშების ჩატარების მზადების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე.

გუშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა. განიხილეს თამაშების მონაწილეების, მსაჯებისა და სტუმრების მიღება-დაბინავების, ფინალური შეჯიბრებებისათვის სპორტული ბაზების მომზადებისა და ასპარეზობისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხეიძემ.

## ახალი საერთაშორისო რეიტინგები

ამ დღეებში ცენტრალურ საჭადრაკო ორგანოში გამოქვეყნდა მსოფლიოს წამყვან მოჭადრაკეთა საერთაშორისო რეიტინგები. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ვაჟები ამ სიაში ვერ მოხვდნენ. ამიტომ გაგაცნობთ მხოლოდ საქართველოს ქალთა საერთაშორისო რეიტინგებს (ადგილების ჩვენებით):

I. მაია ჩიბურდანიძე — 2580
III. ნონა გაფრინდაშვილი — 2475
V. ელენა ახმილოვსკაია — 2485
VI. ნანა იოსელიანი — 2435
IX. ნანა ალექსანდრია — 2405
XI. ნინო გურიელი — 2400
XIII. ქეთევან არახამია — 2370

რეპლიკა

# ამგვარა შეასუსტებეთ?

# ამჯერა შიასუხისმგებლობა

**კარგი თაოსნობაა** — თბილისის „დინამოს" სტადიონზე უმაღლესი ლიგის გუნდების საფეხბურთო მატჩების დღეებში თამაშის დაწყებამდე და ტაიმებს შორის შესვენების დროს ტარდება შეჯიბრებები მძლეოსნობაში „საქართველოს ტელევიზიის პრიზზე". ადრე ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ, რომ ამ ასპარეზობამ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" პოპულარობას, გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდები და, ასე ვთქვათ, შეავსოს ის პაუზა, რაც სტადიონზე იქმნება მატჩამდე და შესვენების დროს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამართლებს დანიშნულებას ეს შეჯიბრება? გადაჭრით შეიძლება ითქვას და ამაში სპეციალისტებიც დაგვეთანხმებიან, უდავოდ გაამართლებს, ოღონდ... ოღონდ, ალბათ მიგვიხვდით, მკითხველო, შეჯიბრება, რომლის მიზანი სპორტის პროპაგანდა და სტადიონზე მოსული ათასობით მაყურებლის ყურადღების მიპყრობაა, სპორტის „ანტიპროპაგანდად" არ უნდა იქცეს". დიახ, დიახ, ზუსტად ამ სიტყვებს გაიგონებდით გუშინწინ „დინამოს" სტადიონზე, როცა ტაიმებს შორის შესვენებისას მძლეოსნურ ბილიკებზე რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ.

დღევანდელ პირობებში, როცა ყველა სოფელშია საშუალო და 8-წლიანი სკოლა, როცა ყველა რაიონში სპორტული სკოლაა გახსნილი, პირდაპირ, საგანგაშოა ასე მოუმზადებელი „სპორტსმენების" გამოყვანა სარბიელზე. თითქოს საგანგებოდ შეარჩიეს ისეთები (ცხადია, ეს ეხება იმ „მორბენლებს", რომელთა გამოსვლამაც გააუფერულა ასპარეზობა), რბენის ელემენტარულ ტექნიკასაც რომ ვერ ფლობენ — არაფერს ვამბობთ გამძლეობაზე. რატომ არ უნდა მოვთხოვოთ პასუხი ასეთი „მძლეოსნების" მწვრთნელებს, სპორტსკოლების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი ფიზკულტურის კომიტეტებისა და სპორტული საზოგადოებების თავმჯდომარეებს, დაბოლოს, თუნდაც სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს? გუშინწინდელმა ფაქტმა ბევრი პასუხისმგებელი მუშაკის უპასუხისმგებლობა და გულგრილობა გამოამჟღავნა. თუ ასე გაგრძელდა, ცოდნას მოგვიხდება ქართულ სპორტში სრული გარდაქმნის ლოდინი.

იმ რეგიონების პასუხისმგებელ სპორტულ მუშაკებს, რომლებსაც ამ შეჯიბრებაზე გუნდი არ გამოჰყავთ, მკაცრად ხთხოვენ პასუხს. განა ნაკლებ სასჯელს იმსახურებენ ისინი, ზერელე ქცევით ასპარეზობას ლაზათს რომ უკარგავენ?



7 აპრილს თბილისის „დინამოს" სტადიონზე „საქართველოს ტელევიზიის პრიზის" გათამაშების მორიგ შეჯიბრებაში პირველი ადგილის ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა: ახალციხელმა მძლეოსნებმა ამ უმნიშვნელო უპირატესობით აჯობეს სოხუმის გუნდს. სურათზე ხედავთ 100 მეტრზე რბენაში გოგონათა შეჯიბრების მომენტს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## სიახლეთა ესტაფეტა

### კომპიუტერი შეცვლის ბარათს

ფრანგმა სპეციალისტებმა შექმნეს სპორტსმენთა სამედიცინო ბარათების შემცვლელი ხელსაწყო. ძველი ბარათები საკმაო უხერხულობას ქმნის მუშაობაში, მაშინ, როდესაც მისი შემცვლელი ფაქტობრივად მიკრო ელექტროგამომთვლელ მანქანას წარმოადგენს და სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ფიზიკური მონაცემებისა და ორგანიზმის შესახებ უტყუარ ინფორმაციას შეიცავს, თანაც სპორტსმენებს შეუძლიათ თავიანთი ბარათები თან იქონიონ.

საქმე ის არის, რომ ელექტრონულ „ავადმყოფობის ისტორიას" შეუძლია ინფორმაცია მისცეს როგორც თვით სპორტსმენს, ისე სპეციალისტ-მედიკოსს. ამისათვის საჭიროა ისინი ცნობდნენ კოდს, რომლის დახმარებითაც კომპიუტერისაგან საჭირო ცნობების მიღება შეუძლიათ.

სიახლით უკვე დაინტერესდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტული მედიკოსები, მათ შორის 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებიც.

### კალათბურთის დღეები რიგაში

**კალათბურთის** დღეები რიგაში სპორტის ამ სახეობის ჭეშმარიტ ზეიმად გადაიქცა. ჯერ მარტო კვირას ქალაქის სხვადასხვა სპორტდარბაზში ორასზე მეტმა გუნდმა იასპარეზა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ნორჩ კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირის ფინალი.

მაგრამ ყველაზე დიდი ინტერესი კომპლექსურმა მატჩმა გამოიწვია, რომელშიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რიგის ვეფ-ი და არმიელთა კოლექტივი. ეს შეხვედრა ექვსი მინი-ტაიმისაგან შედგებოდა. თავდაპირველად მოედანზე იუნიორები გამოვიდნენ, ისინი ვეტერანებმა შეცვალეს. ბოლოს კი ეს უცნაური მატჩი ოსტატებმა დაამთავრეს.

როდესაც მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები, გაირკვა, რომ გამარჯვება არმიელებს მოუპოვებიათ — 136:132.



ამ ბოლო ხანებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ წარმატებებთან ერთად ხშირად ახსენებენ საჩხერის რაიონს. ამ რაიონში მართლაც ბევრი რამ კეთდება ჩვენი სპორტის საიმედო რეზერვის აღსაზრდელად. სამაგალითოდ დავასახელებთ თუნდაც ძალოსნობას, კრივს, ჭიდაობის ცალკეულ სახეობებს...

სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ ძიუდოისტთა ვარჯიშის მომენტია ასახული.




## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში ალმა-ათის „ქაირატს" უმასპინძლა. ამ შეხვედრაში თბილისელებმა სამი ბურთი გაიტანეს და ეს მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს.

სურათზე: ასე გავიდა მესამე ბურთი ალმა-ათელთა კარში.

იხ. მე-3 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# თუ ველოსპორტი გიყვართ!

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე 15 აპრილიდან მუშაობას იწყებს გამაჯანსაღებელი ჯგუფი ველოსპორტში, ველოსიპედების გასაქირავებელი პუნქტით.

მსურველთა განკარგულებაში იქნება სხვადასხვა მოდელის ორთვლიანი ველოსიპედები და სპორტული ფორმა. იმუშავებს საშხაპეებიც. ვარჯიში ჩატარდება სპეციალურად ასფალტირებულ და განათებულ ტრასაზე.

ვარჯიშები ჩატარდება ყოველდღიურად 7.00 საათიდან 11.00 საათამდე და 17.00 საათიდან 21.00 საათამდე. შაბათ-კვირას 8.00 საათიდან — 20.00 საათამდე.

შეიძლება აბონემენტების შეძენაც სხვადასხვა ვადით. უფრო დაწვრილებით ცნობებს მსურველები მიიღებენ ტელეფონით — 39-11-92.

ველოდრომის მისამართია: თბილისი, უნივერსიტეტის № 6.



## კიდევ ერთი მინი ტურნირი

**დამთავრდა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი იმ გუნდებისთვის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძოდნენ: გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ბოლო ტურის მატჩები: ასკ (კიევი) — რტი (მინსკი) 84:90, 95:89, „სტროიტელი" (კიევი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) 90:77, 88:72, „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (ალმა-ათა) 96:95, 115:64.

სატურნირო ცხრილი ჩემპიონატის ფინიშზე ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 42 | 21 | 21 | 63 |
| „სტროიტ." (კიევი) | 42 | 20 | 22 | 62 |
| „დინამო" (მოსკ.) | 42 | 19 | 23 | 61 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 42 | 19 | 23 | 61 |
| რტი (მინსკი) | 42 | 15 | 27 | 57 |
| ასკ (ალმა-ათა) | 42 | 14 | 28 | 56 |

ამრიგად კიევის არმიელებმა და „სტროიტელმა" შეინარჩუნეს ადგილი უმაღლეს ლიგაში. ალმა-ათის ასკ, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონატში ბოლო ადგილი დაიკავა, გადავა პირველ ლიგაში იასპარეზოს. მის ადგილს პირველ ლიგაში გამარჯვებული ტალინის „კალევი" დაიკავებს.

სამ გუნდს — მოსკოვის „დინამოს", ვილნიუსის „სტატიბას" და მინსკის რტი-ს გადასასვლელ ტურნირში მოუწევთ გამოსვლა. მათთან ერთად აქ ითამაშებენ კოლექტივები, რომლებმაც პირველი ლიგის ტურნირში II-IV ადგილები დაიკავეს. ეს გუნდებია ნკი (ნიკოლაევი), „სპარტაკი" (ვოროშილოვგრადი) და „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი). ამ ექვსეულის ტურნირი 14 აპრილს პანევეჟისში დამთავრდება, სადაც გათამაშდება კიდევ უმაღლესი ლიგის სამი საგზური.

ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშები ტყვიის სროლაში

# იმედად — ოთხი თვე

**ჭაბუკთა II საკავშირო თამაშები 1988 წელს გაიმართება, ამიტომ რესპუბლიკური შეჯიბრებები, რომელთა ჩატარება სპორტის ყველა სახეობაში წლეულს არის გათვალისწინებული, უფრო პერსპექტივის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.**

მაგრამ ამ ასპარეზობათა შედეგებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ოპერატიული" მნიშვნელობაც აქვს: სარბიელზე ვიხილავთ ბევრ 1971-1973 წლებში დაბადებულ სპორტსმენებსაც, რომელთა დიდი ნაწილი უკვე რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ჩაებას მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებაში — სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშებში.

სწორედ ამიტომ, ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება, რომელსაც ეშერის სასროლეთმა უმასპინძლა, ერთგვარად ამ თამაშებისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ.

საერთო აზრით, მონაწილეთა მაჩვენებლები მთლად უიმედო არ ყოფილა, თუმცა ასპარეზობის დაწყებამდე ბევრი სპეციალისტი უკეთეს შედეგებს მოელოდა. ზამთრის მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოს შემდეგ, რაც ბაზების სიმცირის გამო ხშირად მთლიანად არც სრულდება, შეჯიბრებას კარგი შედეგები თითქოს არც უნდა მოეტანა, მაგრამ ბევრი რამ მაინც დამაფიქრებელია.

ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა პისტოლეტის მსროლელ გოგონათა დაბალი შედეგები, რაც განსაკუთრებით მპ-5 ვარჯიშზე ითქმის. ამ დისციპლინაში საერთოდ ცუდი მდგომარეობა არა გვაქვს. გვყავს კარგი სპორტსმენები — ნინო სალუქვაძე, მეგი ხუბულაშვილი, პერსპექტიულ მსროლელთა მთელი ჯგუფი. მაგრამ მოპოვებული პოზიციის დასაცავად გამუდმებული



გიორგი ნატრიაშვილი.

გულმოდგინე შრომაა საჭირო. ზემოხსენებული შეჯიბრება ერთგვარად გამაფრთხილებელი სიგნალი გახდა.

შედარებით დაბალი აღმოჩნდა თოფის მსროლელ გოგონათა შედეგებიც. თუმცა, ეს მოულოდნელი არც ყოფილა.

ჭაბუკებს შედარებით იოლი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი. მართალია, პრობლემები არც აქ გვაკლია, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში შედეგები სეზონის დასაწყისისათვის, ურიგო არ იყო. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თბილისელი მსროლელი გიორგი ნატრიაშვილი (დოსააფი, მწვრთნელი არამ ონანოვი). 16 წლის ჭაბუკმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი „გაქცეულ ტახზე" სროლაში (40 გასროლა)—382. კარგად იასპარეზეს თბილისელმა დიმიტრი გევორქოვმა, არჩილ მეგრელიშვილმა, სოხუმელმა ალექსი კუჭუხიძემ.

აქვე უნდა ვთქვათ, მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ გოგონათა გუნდის რამდენიმე წევრს (პირველ ყოვლისა — ბათუმელ დარეჯან დუმბაძესა და თბილისელ მარინა აბაკელიას) შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ კოლექტივის წარმატებაში. (უნდა ითქვას, რომ ზემოჩამოთვლილი სპორტსმენებიდან მხოლოდ კუჭუხიძეა დაბადებული 1970 წელს და ამიტომ უფლება არა აქვს სპორტსკოლების საკავშირო თამაშებში იასპარეზოს. სხვები კი ამ შეჯიბრებაში დაიშვებიან), გარკვეულ იმედს გვინერგავს ისიც, რომ სპორტული სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა თამაშების დაწყებამდე ჩვენი ტყვიის მსროლელების მომზადება უკვე ცენტრალიზებული წესით, შერჩეულ ბაზებზე წარიმართება. დაგეგმილია შეჯიბრებათა ციკლიც, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ნორჩ სნაიპერთა სპორტული ოსტატობის შემოწმებასა და ამაღლებას. მოკლედ, დარჩენილი 4 თვის მანძილზე ჯერ კიდევ უამრავი საქმეა გასაკეთებელი.

**შედეგები** ქვარცხლბეკი

**გოგონები. მპ-5.** 1. ი. აქმიაკოვა (თბილისი) — 560; 2. ნ. დუმბაძე (აჭარა) — 558; 3. ე. კალაკუტსკაია (აფხაზეთი) — 554.

**პპ-2.** 1. დუმბაძე — 369; 2. ვ. კვიცარიძე (ქუთაისი) — 367; კალაკუტსკაია — 364.

**მზ-9.** 1. მ. აბაკელია (თბილისი) — 580; 2. ქ. მელქაძე (ქუთაისი) — 576; 3. ი. მელნიკოვა (თბილისი) — 573.

**მზ-5.** 1. მ. აბაკელია — 548; 2. მელნიკოვა — 546; 3. შ. ახალაძე (აფხაზეთი) — 537.

**მზ-4.** 1. აბაკელია — 373; 2. გ. ფედოსეევა (თბილისი) — 362; 3. ახალაძე — 358.

**ჭაბუკები. მპ-5.** 1. დ. წაქაძე (ქუთაისი) — 578; 2. ზ. კვირიკაშვილი (თბილისი) — 578; 3. ა. კუჭუხიძე (აფხაზეთი) — 576.

**პპ-2.** 1. დ. გევორქოვი (თბილისი) — 376; 2. გ. ქველიაშვილი (თბილისი) — 375; ა. კუჭუხიძე — 371.

**მზ-9.** 1. მეგრელიშვილი — 583; 2. თ. ჭოხონელიძე (ქუთაისი) — 582; 3. ს. სტუდენიკინი (აფხაზეთი) — 581.

**მზ-11.** 1. ნატრიაშვილი — 382; 2. ლ. კობეშავიძე (ქუთაისი) — 368; 3. ვ. ალენსკი (აფხაზეთი) — 358.

**მზ-5.** ს. სტუდენიკინი — 560; 2. მეგრელიშვილი — 552; 3. ვ. კულუმბეკოვი (თბილისი) — 543.

**მპ-8.** 1. ქველიაშვილი — 574; 2. წაქაძე — 565; 3. თ. ცხვიტავა (აფხაზეთი) — 562.

**მპ-6.** 1. კუჭუხიძე — 545; 2. გევორქოვი — 532; 3. ქველიაშვილი — 519.

**პზ-4.** 1. მეგრელიშვილი — 376; 2. ა. წულაია (აფხაზეთი) — 359; 3. სტუდენიკინი — 357.

**გუნდური.** 1. თბილისი— 667; 2. აფხაზეთი — 437; 3. ქუთაისი — 365; 4. აჭარა — 171; 5. ფოთი — 20.

# რატომ მიატოვეს ასპარეზობა?

**თბილისში,** სტუდქალაქის სტადიონზე, მოზარდ რეგბისტთა (1971-72 წლებში დაბადებულთა) რესპუბლიკური პირველობის ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ქუთაისისა და თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის გუნდები. თბილისის განათლების სამმართველოს რეგბისტები მეტოქეებზე და საერთოდ შეჯიბრების მონაწილე თანატოლებზე უფრო გამოცდილნი არიან (ისინი ხშირად იმარჯვებენ რესპუბლიკურ ტურნირებში და საკავშირო შეჯიბრებებშიც ბევრჯერ გამოსულან), ამიტომ ფინალურ მატჩში ფავორიტებად ისინი ითვლებოდნენ. შეხვედრის დასაწყისი მართლაც თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და ანგარიშიც მათ გახსნეს, მეტოქის ჩათვლით მოედანზე დაამიწეს ბურთი და დაწინაურდნენ — 4:0. წინ გასულ თბილისელებს შეტევები არ შეუნელებიათ. ისინი აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ქუთაისელები თავგანწირვით იცავდნენ თავს. და აი, თბილისელთა ერთ-ერთი შეტევის დროს ქუთაისელებმა ჯერ მეტოქეთა კომბინაცია ჩაშალეს და სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, რომელიც ლელოს გატანით დააგვირგვინეს, შემდეგ კი რეალიზაციაც ზუსტად შეასრულეს და დაწინაურდნენ — 6:4. ეს შეტევა გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩში. ანგარიში მსაჯის საფინალო სასტვენამდე აღარ შეცვლილა. ისე რომ, მან ქუთაისელებს რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვება მოუტანა. ახლახან უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების — „მშენებლისა" და კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის" კალენდარული შეხვედრის დროს, შესვენებისას, ქუთაისელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ოქროს მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები. მეორე ადგილი თბილისის განათლების სამმართველოს რეგბისტებს დარჩათ, მესამე ადგილზე კი თბილისის „შევარდენი" გავიდა. ამ გუნდების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის „სპარტაკმა", თბილისის „ლოკომოტივმა", თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის აღსაზრდელთა კიდევ ერთმა გუნდმა, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე ვარჯიშობს, და ჭიათურელმა რეგბისტებმა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა გამოსვლაზე განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ და აი, რატომ: **ჭიათურელთა მწვრთნელმა მოთამაშეთა ტრავმები მოიმიზეზა და ბოლო შეხვედრაზე გუნდი აღარ გამოიყვანა. მან ეს შეჯიბრების ორგანიზატორებს უშუალოდ თამაშის წინ აცნობა, ესე იგი, გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღო, არც მეტოქეები გააფრთხილა, არც მსაჯთა კოლეგია. მოკლედ, ჭიათურელებმა ასპარეზობა მიატოვეს, მაგრამ ეს ფაქტი მარტო მწვრთნელის უპასუხისმგებლობაზე როდი მეტყველებს.** ჩანს, ჭიათურელი რეგბისტები ფიზიკურად ისე სუსტად იყვნენ მომზადებულნი, რომ ხანმოკლე სატურნირო დატვირთვას ვერ გაუძლეს. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჭიათურაში მოზარდ რეგბისტებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ერთი სიტყვით, ამ კონკრეტულმა ფაქტმა ჩვენში რეგბის განვითარების ერთი მნიშვნელოვანი სატკივარი გამოააშკარავა — რესპუბლიკაში ამ თამაშის გავრცელების არეალი ისედაც ვიწროა, თითებზე ჩამოსათვლელ მოზარდთა გუნდებს კი ყველგან როდი უწყობენ ხელს.

**თამაზ შენგელია.**

## მიეძღვნა ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს

### ონი

7 აპრილი, ჯანმრთელობის მსოფლიო დღე, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით აღნიშნეს მაღალმთიანი ონის რაიონის მშრომელებმა და ახალგაზრდებმა. 22 შრომითი კოლექტივი მონაწილეობდა მასობრივ ტურისტულ ლაშქრობაში, რაიონის სპორტულ კომპლექსში კი გაიმართა შეჯიბრებები ფრენბურთსა და სიმძიმეები აწევაში.

### ბორჯომი

ამ საკურორტო ქალაქში გამართულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ადგილობრივი მოსახლეობის გარდა დამსვენებლებიც მონაწილეობდნენ. პროგრამაში იყო მინიფეხბურთი, კალათბურთი, ცურვა, მძლეოსნობა, ბაგირის გადაძალვა, სიმძიმეების აწევა, მოეწყო აგრეთვე მასობრივი ტურისტული ლაშქრობა.

11-12 აპრილი ხსოვნის დღეა

# სპორტი მისთვის ყველაფერი იყო

იგი ქართველ სპორტსმენთა იმ შესანიშნავი თაობის წარმომადგენელი იყო, საქართველოს „ტანმოვარჯიშეთა სამშობლოს" სახელი რომ დაუმკვიდრა.

ვახტანგ შავდიას სახელს ხშირად იხსენებდნენ გოგლიკო ბაბილოძის, დიმიტრი ახვლედიანის, პავლე რომანიშვილის, კონსტანტინე ზაალიშვილისა და სხვათა გვერდით. ვახტანგის ბიოგრაფია არაფრით განსხვავდება ომამდელი თაობის ახალგაზრდების ბიოგრაფიისგან, სპორტში მისი მოსვლაც შემთხვევამ განაპირობა, პირველად მშობლიურ ხონში ნახა ქუთაისელ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა და მოიხიბლა კოკა მეიფარიანის, მიხეილ ქებულაძის, დიმიტრი მიქაბერიძის, ძმების დავით და კოწო ბადრიძეების ალმატრიალებითა და ხელყირებით. ბიჭმა ეზოში ხეებს შორის ღვრძი დაამაგრა და ვარჯიშს შეუდგა. შემდეგ თბილისი, საზოგადოება „სპარტაკი", გულისხმიერი აღმზრდელები... არდადეგებს ჭაბუკი ხონში ატარებდა და გატაცებით ვარჯიშობდა თვითნაკეთ იარაღებზე. სხვებიც აიყოლია. მასთან სავარჯიშოდ იკრიბებოდნენ ჩვენი კულტურის მომავალი მოღვაწეები ირაკლი აბაშიძე, კორნელი სანაძე, თამარ აბაკელია, ვახტანგ კინწურაშვილი, ვახტანგ ქუთათელაძე, დადუა იოსელიანი, შიო ჭილაძე. მალე თვითმოქმედ ტანმოვარჯიშეებს თავი მოუყარა ცნობილმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ და ქორეოგრაფმა დავით ჯავრიშვილმა — ორასამდე მოზარდი გააერთიანა ჯგუფში, რომელიც ყოფილი სემინარიის დარბაზში მეცადინეობდა „ვარჯიშთავების" ევგენი კაჭახიძის, ვახტანგ კინწურაშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით. ეს გოგობიჭები ქუჩებსა და მოედნებზე ხშირად მართავდნენ აღლუმებსა და მსვლელობებს, რაც ფართო პროპაგანდას უწევდა ფიზკულტურულ მოძრაობას.



ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა გუნდი. შუაში ვახტანგ შავდია.

იმედისმომცემ შეგირდს ცნობილმა პედაგოგმა და აღმზრდელმა არჩილ ბაქრაძემ დაადგა თვალი. ბაქრაძე თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელი სკოლის დარბაზში ავარჯიშებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს. მალე ვ. შავდიას ტანვარჯიშის სხვა სპეციალისტებმაც მიაქციეს ყურადღება. გულო რცხილაძის რეკომენდაციით გიორგი ეგნატაშვილმა ახალგაზრდა ნაკრებში ჩარიცხა. ამ ნაკრების უცვლელი წევრი იყო ვახტანგი 1933-41 წლებში. ეს ის დრო იყო, როცა ამიერკავკასიისა და საკავშირო პირველობაზე ჩვენი ტანმოვარჯიშეების სახელი ქუხდა. ერთ-ერთი იყო ვ. შავდია.

1936 წელს სურამში გამართულ საკავშირო შეკრების დღეებში მან პირველმა შეასრულა ურთულესი ელემენტი — ჯვარედინი ალმატრიალი ღერძზე.. ეს გახლდათ ის სავიზიტო ბარათი, რომელმაც მას დიდი სპორტისაკენ მიმავალი გზა გაუხსნა. იმ პერიოდში ახალგაზრდა არც თავის სპეციალობას ივიწყებდა. გაიტაცა საინჟინრო საქმემ და ამ დარგში თვალსაჩინო წარმატებებიც ჰქონდა — ჯერ დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, შემდეგ აქვე მიიღო უმაღლესი განათლება — ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის (ახლანდელი სპი) კურსდამთავრებულის დიპლომი. სწორედ სწავლის წლებში მიაღწია დიდ წარმატებებს სპორტში. ეს სურათი მოსკოვში, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში შემავალი უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზეა გადაღებული. იქ ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა დ. ახვლედიანმა, ნ. კალანდაძემ, ვ. შავდიამ, გ. ბაბილოძემ, გ. მამარდაშვილმა და სხვებმა პირველობა არავის დაუთმეს და გამარჯვებულები სერგო ორჯონიკიძემ დააჯილდოვა.

1938-დან 1941 წლამდე მუშაობდა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგედ, კათედრისა, რომელიც თავად დააარსა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოფლიდან ჩამოსულ სტუდენტებს, შექმნა სხვადასხვა სექცია და სპორტით დააინტერესა სოფლის მომავალი ინტელიგენტები.

1941 წელს ვ. შავდია „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. სამამულო ომის წლებში საზოგადოების მუშაობა მისი ხელმძღვანელობით სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. სპარტაკელები გახდნენ კავალერისტები, ეუფლებოდნენ ხიშტით ხელჩართული ბრძოლის ილეთებს, სამხედრო ტექნიკას. შემდეგ ვ. შავდია გადაიყვანეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ენერგეტიკისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგედ, ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა, მაგრამ ტანვარჯიშთან კავშირი არ გაუწყვეტია — 20 წლის განმავლობაში იყო რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე და უნარიანად ხელმძღვანელობდა ჩვენში ამ ულამაზესი სახეობის დანერგვა-განვითარების საქმეს.

**უშანგ ჟიჟინაძე.**

# აი, იმ მთაზედა...

**ხულოს რაიონის სოფელ ქედლებს თავს წამოდგომია მთა, რომელსაც წელიწადში 6 თვის მანძილზე თოვლის საბურველი ამშვენებს. სწორედ აქ მოაწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭომ ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერჯერობით ერთადერთი სამთო-სათხილამურო ბაზა.**

ამას წინათ აქ ჩატარდა „კოლმეურნის" მოთხილამურეთა საოლქო პირველობა, რომელშიც ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების 50-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში ხულოს რაიონის პირველმა ნაკრებმა (მწვრთნელი ნ. ჯორბენაძე) გაიმარჯვა. მეორე ადგილიც ამავე რაიონის მეორე კოლექტივმა. სოფლების: დიოკნისისა და რიყეთის ახალგაზრდა მოთხილამურეებით დაკომპლექტებულმა გუნდმა დაიკავა. მესამე ადგილზე შუახევის რაიონის ნაკრები გავიდა.

პირად ჩათვლაშიც ხულოს რაიონის წარმომადგენლებმა ისახლეს თავი. 5 და 10 კილომეტრზე რბენაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ნ. ხოზრევანიძემ, 10 და 15 კილომეტრზე ქალთა ასპარეზობაში — მზია შავაძემ.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში 10 კილომეტრზე უძლიერესი იყო მ. დეკანაძე, ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბენაში — გ. მეხეშიძე. 30 კილომეტრზე ყველას აჭარის ნაკრები გუნდის წევრმა ვ. კოჩალიძემ აჯობა.

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს" კორ.**

ბათუმი.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**50**

### „დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 3:0 (2:0).

**თბილისი. 7 აპრილი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 30.814 მაყურებელი.**

**„დინამო“: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ჰედია, მალანია, რევიშვილი (კაკილაშვილი, 55), კორღალიძე, აფციაური, ცაავა, ჩელებაძე, შენგელია (ბიგვავა, 55).**

**„ქაირათი“: უბიკინი, კულინიჩი, ჯუმანოვი, იაროვენკო, ფომინი (პასკო, 46), ნიკიტენკო (ვოლგინი, 60), ოგაი, ლედოვსკიხი, სალიმოვი, მასუდოვი, კარაჩუნი.**

**მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).**

**გოლები: ჩელებაძე (9), ცაავა (44), კაკილაშვილი (64).**

თამაშის მე-9 წუთზე რევაზ ჩელებაძემ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — თბილისის „დინამო“ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში პირველად დაწინაურდა!

44-ე წუთზე ცაავა მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში და მოჭრილი დარტყმით შორეულ დაბალ კუთხეში შესანიშნავი გოლი გაიტანა — თბილისის „დინამომ“ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში პირველად გაიტანა ორი გოლი ერთ მატჩში!

64-ე წუთზე კი მეკარე უბიკინის პირისპირ გასულმა კაკილაშვილმა ხელიდან არ გაუშვა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა და ბურთი მესამედ გაეხვია ალმაათელთა კარის ბადეში. თბილისის „დინამომ“ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა, თანაც, დიდი ანგარიშით — 3:0!

ამ მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, ვიხილეთ დინამოელთა მწვრთნელების გაღიმებული სახეები, კარგ გუნებაზე იყვნენ თვით ფეხბურთელები, კმაყოფილი სტოვებდა სტადიონს გულშემატკივარიც, რომელიც კვლავ ერთგულად ედგა მხარში გუნდს.

ფეხბურთის მოყვარულთა ეს 30,814-კაციანი აუდიტორია თბილისელთა თამაშში გარკვეული ტაქტიკური სიახლეების მოწმე გახდა. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია საკმაოდ მოულოდნელი გადაადგილება დინამოელთა დაცვაში: სვანაძე, რომელიც ჩვეულებრივ დაცვის მარჯვენა, ხანდახან კი მარცხენა ფლანგზე მოქმედებს ხოლმე, ამჯერად ცენტრში თამაშობდა ჩივაძესთან ერთად. ჰედიამ მარჯვენა მცველის ადგილი დაიკავა. ახლა ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ასეთი „როქი“. გამორიცხული არ არის, რომ წინასწარი გეგმის მიხედვით თბილისელები სამი მცველით აპირებდნენ თამაშს, ხოლო ჰედიას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა შეევსო მარჯვენა მცველის ზონა, მაგრამ ალმაათელთა საკმაოდ მძაფრმა კონტრშეტევებმა იგი აიძულა პირიქით, ძირითადად დაცვა გაეძლიერებინა და ვითარების მიხედვით ჩართულიყო თავისი გუნდის შეტევით ოპერაციაში. ასეა თუ ისე, ამ გადაადგილებით თბილისელებს გუშინწინდელ მატჩში არაფერი დაუკარგავთ. სვანაძე მეტოქეებთან ორთაბრძოლაშიც წარმატებით ებმებოდა, თანაგუნდელთა დაზღვევასაც ასწრებდა, ჰედია კი, გარდა იმისა, რომ უნარიანად კეტავდა თავის ზონას, ჩვეულებისამებრ აქტიურად ეხმარებოდა თავდასხმას, სადაც შენგელიასა და ჩელებაძესთან ერთად ამჯერად ცაავაც ვიხილეთ. დიახ, ცაავა ფაქტიურად მესამე თავდამსხმელი იყო, იგი ჯერ კიდევ ლენინგრადის „ზენიტთან“ წინა შეხვედრის დროს მოქმედებდა შეტევის მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ „ქაირათთან“ მატ-



მეტოქის კარში პირველი ბურთი გააქვს რევაზ ჩელებაძეს.

ჩში ეს უფრო გამოკვეთილად ჩანდა.

ნახევარდაცვაში კორღალიძესა და რევიშვილთან ერთად კვლავ ვიხილეთ „დინამოს“ ახალბედა მოთამაშე მამუკა აფციაური. მისი თამაში, განსაკუთრებით მატჩის მეორე ნახევარში, უფრო დამაჯერებელი და იმედის მომცემი იყო, არადა, რა დასამალია, ბევრი მოელოდა, რომ სწორედ მატჩის მეორე ნახევარში მწვრთნელი აღარ გამოიყვანდა მოედანზე აფციაურს.

თუმცა, ამ დღეს ყველა დინამოელმა კარგად ითამაშა, ზოგიერთი გულშემატკივარი შეიძლება შემოგვედავოს, რა დროს ბუკისა და ნალარის ცემაა, ერთი სუსტი გუნდი დავამარცხეთ და ისიც მისი საუკეთესო მოთამაშეების გარეშეო. მართალია, „ქაირათს“ აკლდნენ წამყვანი მოთამაშეები ფეხლევანიდი და გრიჯანი, უდავოდ დიდი ძალა, მაგრამ მაშინ ისიც გავიხსენოთ, რომ თბილისელთა რიგებში ტრავმის გამო არ გამოსულან სულაქველიძე და კეტაშვილი, რაც კიდევ უფრო მეტი დანაკლისია. გარდა ამისა, ასე სუსტია „ქაირათი“, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მოსკოვის „დინამო“ დაამარცხა? ნიკიტენკო, კარაჩუნი, ლედოვსკიხი, განსაკუთრებით კი ოგაი მოსვენებას არ აძლევდნენ თბილისელ მცველებს და მეკარე გაბელიას, რომელმაც სულ ცოტა ოთხჯერ ბრწყინვალედ ითამაშა და აშკარა უსიამოვნებას გადაგვარჩინა. ოთარ გაბელიმ ბოლო ორი შეხვედრა, უნდა ითქვას, მაღალ დონეზე ჩაატარა.

მაგრამ 51-ე წუთზე ჩვენი მეკარის ოსტატობაც ვერ გვიხსნიდა, რომ არა შემთხვევა — იმავე ოგაის ერთ-ერთი დარტყმის შემდეგ ბურთი [illegible] რის ხაზს იქით [illegible]. თუმცა, თბილისელები [illegible] ჩამორჩნენ [illegible] პირველ ტაიმში ჩელებაძემ კარგ პოზიციაში გაიყვანა შენგელია, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. აქვე დავძენთ, რომ უბიკინის კარში მესამე გოლი ასევე ჩელებაძის ზუსტი გადაცემის შემდეგ გავიდა. საერთოდ ეს მატჩი ჩელებაძემ შესანიშნავად ჩაატარა.

1985 წლის 10 მარტის შემდეგ, როცა თბილისის „დინამომ“ დონეცკის „შახტიორს“ მოუგო (5:0), ჩვენმა გუნდმა პირველად გაიმარჯვა დიდი ანგარიშით. თქმა არ უნდა, თბილისელთა თამაშში წუნიც საკმაოდ იყო. ამიტომ არც ბუკისა და ნალარის ცემას ვაპირებთ და არც ილუზიებით ცხოვრებას. გუნდი ჯერ კიდევ შორს არის იმ დონისაგან, რომელიც გულშემატკივარს დააკმაყოფილებს, მაგრამ გუშინწინდელმა მატჩმა დაგვანახვა, რომ უკეთესი მომავლის იმედი უნდა გვქონდეს. მზარდამზარ დიდი მონდომებით თამაშობენ სრულიად ახალგაზრდა და ბრძოლებში გამობრძმედილი ფეხბურთელები. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია 18 წლის რევიშვილი ან კიდევ უფრო ახალგაზრდა, 17 წლის აფციაური და მასზე 16 წლით უფროსი გაბელია ან ჩივაძე, რომელსაც გუშინ, 8 აპრილს 32 წელი შეუსრულდა. სიმბოლურია ისიც, რომ აფციაურმა თავისი მეორე შეხვედრა ჩაატარა უმაღლეს ლიგაში, ჩივაძემ კი 299-ჯერ დაიცვა „დინამოს“ ღირსება.

შემდეგი მატჩი ვილნიუსში, 12 აპრილს, თბილისის „დინამოს“ კაპიტან ალექსანდრე ჩივაძისთვის საიუბილეო, მე-300 იქნება.

**ზურაბ ფოცხვერია.**

## გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** — **მდგომარეობა 9 აპრილისთვის**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 11 | (—1) |
| 2. | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 6 | 4 | 1 | 1 | 6-2 | 9 | (—3) |
| 3. | ცსკა | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 7 | (—5) |
| 4. | „დინამო“ (მინსკი) | 6 | 2 | 3 | 1 | 4-3 | 7 | (—5) |
| 5. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 6 | 2 | 2 | 2 | 9-5 | 6 | (—6) |
| 6. | „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 6 | (—6) |
| 7. | „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 6 | (—6) |
| 8. | „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 6 | (—6) |
| 9. | „შახტიორი“ (დონეცკი) | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 5 | (—5) |
| 10. | „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 6 | 1 | 3 | 2 | 4-9 | 5 | (—7) |
| 11. | „დინამო“ (კიევი) | 3 | 2 | 0 | 1 | 10-3 | 4 | (—2) |
| 12. | „არარატი“ (ერევანი) | 6 | 2 | 0 | 4 | 4-13 | 4 | (—8) |
| 13. | „გურია“ (ლანჩხუთი) | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 4 | (—6) |
| 14. | „ნეფთჩი“ (ბაქო) | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 4 | (—8) |
| 15. | „დინამო“ (თბილისი) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 3 | (—7) |
| 16. | „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 6 | 1 | 1 | 4 | 1-8 | 3 | (—9) |

## I ლიგა

**7 აპრილს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების II ტურის მატჩები.**

### „ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:0.

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 7 აპრილი.**

**„ტორპედო“: მიქაძე, შამათავა, თევზაძე, პაპავა, წიქარიშვილი, შენგელია (გოგელიძე, 80), გიგატაძე, მანაგაძე, ტყავაძე, თვარაძე, კვერნაძე (ხარაბაძე, 71).**

**ასკ „კარპატი“: შიპოვსკი, გამალი, ბუნიაკი, პასეჩნიკი, ვოიტიუკი, სმოტრიჩი, იაროში (კოგუტი, 72), შკვირინი, კუზლევსკი, ლენდელი, ბონდარჩუკი.**

**მსაჯი — ა. სპირინი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს თევზაძე.**

პირველ ტურში განცდილი დამარცხების შემდეგ ქუთაისის ტორპედოელებმა საკუთარ მინდორზე მხოლოდ ქულის აღება შესძლეს ლვოვის ფეხბურთელებთან. მაგრამ ახლა, როცა „ტორპედო“ ეს, ფაქტიურად, თითქმის ახალი გუნდია და მის ზოგიერთ მოთამაშეს მხოლოდ პირველად უხდება საკუთარ ძალთა გამოცდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ახალი ფეხბურთელები საკმაოდ პერსპექტიულნი არიან და, გულშემატკივრებსაც შეუძლიათ მათი იმედი იქონიონ. ახალგაზრდებმა საკმაოდ კვალიფიციური, ტემპერამენტიანი თამაში აჩვენეს, გამოცდილება რომ მათ მეტი ჰქონოდათ, თამაშიც, ალბათ, სხვა შედეგით დამთავრდებოდა.

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო, შესვენებამდე მინდორზე აღსანიშნავი ბევრი არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მომენტს, რომელიც ლვოველთა კართან შეიქმნა მე-10 წუთზე. მანაგაძემ კარგი შესაძლებლობიდან ხელებში მისცა ბურთი შიპოვსკის.

გაცილებით უფრო ტემპიანი, საინტერესო იყო შეხვედრის მეორე ნახევარი. ქუთაისელებმა მტკიცედ აიღეს ხელში ინიციატივა, მეტოქის კართან მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს, სრული დატვირთვით მოუხდათ თამაში სტუმრების მეკარესა და მცველებს.

მაგრამ თამაში ისე დამთავრდა, რომ ქუთაისელებმა ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება და მხოლოდ ქულას დასჯერდნენ.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

### „დინამო“ (ბათუმი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:1 (0:1).

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 7 აპრილი.**

**„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, არზიანი, ბარათაშვილი (გორგილაძე, 50), უგრელიძე, ვლასენკო.**

**„ჩერნომორეცი“: გრიშკო, გაიდარჟი (ტიშჩენკო, 46), ჟარკოვი, იშჩაკი, პლოსკინა, ტრეტიაკი, საველიევი, შჩერბაკოვი, სეკინაევი (სტრიჟაკოვი, 77), ზირჩენკო, პერეპადენკო.**

**მსაჯი მ. იოფე (მოსკოვი).**

პირველ ტურში მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ ორივე გუნდი საბრძოლველად იყო განწყობილი, ფეხბურთელები მთელი თავიანთი შესაძლებლობით იბრძოდნენ მთელი მატჩის მსვლელობაში. დაახლოებით 25 წუთის მანძილზე გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია, თუმცა მეტოქეებმა თითო კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს: მე-2 წუთზე სეკინაევის ძლიერი დარტყმა ბალაძემ კუთხურზე მოიგერია, შემდეგ კი გრიშკოსთან პირისპირ დარჩა უგრელიძე, მაგრამ ვერც მან შეძლო კარის აღება.

მიმდინარეობდა 34-ე წუთი, როცა ზირჩენკომ შორი მანძილიდან დაარტყა კარში. ბალაძემ ბურთი მოიგერია, მაგრამ აქ იმარჯვა სეკინაევმა და ახლო მანძილიდან თავით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ თამაში ბათუმელთა დიდი ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა გრიშკოს, ბურთის გატანა შეეძლოთ ვლასენკოს, გორგილაძეს, კიკლიაშვილს, მაგრამ მასპინძელთა იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, „ჩერნომორეცმა“ შეინარჩუნა გამარჯვება.

რამდენიმე სიტყვა მსაჯობის შესახებ: მ. იოფემ თავიდანვე ზედმეტი ლიბერალობა გამოიჩინა და ვერ ალკვეთა „ჩერნომორეცის“ ზოგიერთი ფეხბურთელის აშკარა უხეშობა. იგი არც ცდილა წესრიგისკენ მოეწოდებინა ისინი. ამან, რა თქმა უნდა, გარკვეული დაღი დაამჩნია თამაშის მსვლელობას.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

### სხვა მატჩები:

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 0:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (სტავროპოლი) 4:1.

**III ტურის მატჩებს საქართველოს გუნდები სტუმრად ჩაატარებენ. ქუთაისის ტორპედოელები კუიბიშევში შეხვდებიან „კრილია სოვეტოვს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ ტიუმენში ითამაშებს „გეოლოგთან“.**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 9 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 4 |
| „ჩერნომორეცი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 4 |
| „კოლოსი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 4 |
| „შინიკი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 4 |
| „დაუგავა“ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 3 |
| „გეოლოგი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| „დინამო“ ბ. | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| „კოტაიკი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 2 |
| ასკ რ. | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| „ლოკომოტივი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| „ზარია“ | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| „კუზბასი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| „სპარტაკი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| „ფახთაქორი“ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| „პამირი“ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| „ფაკელი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ასკ „კარპატი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| „ტორპედო“ ქ. | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| „როსტსელმაში“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| „როტორი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| „დინამო“ სტ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში უმასპინძლეს მოსკოვის „სლავას“ და დაამარცხეს იგი — 10:3.**

## ვერცხლის მედლები ასტრახანიდან

**სპორტსკოლების** მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ტურნირი ხელბურთში, როგორც ცნობილია, თბილისში 26 ივლისს დაიწყება და 5 აგვისტომდე გასტანს. ამ შეჯიბრებისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა (1971-1972 წლებში დაბადებულნი) შორის, რომლის ფინალი 23-28 მარტს ასტრახანში გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელსაც ოცი წლის ისტორია აქვს, ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებმა ერთხელ გაიმარჯვეს (1982 წელს), ხოლო თითოჯერ ვერცხლისა (1977) და ბრინჯაოს (1978 წ) მედლები მოიპოვეს.

წლევანდელ ტურნირში თბილისის ნაკრების ღირსებას ხელბურთის ორი სპორტული სკოლის — „ბურევესტნიკისა“ (დირექტორი ამირან კომახიძე) და თბილისის განათლების სამმართველოს (დირექტორი თამაზ ანთაძე) მოსწავლეები იცავდნენ.

ჩვენმა ხელბურთელებმა კარგად ჩაატარეს ტურნირი — დაამარცხეს ლენინგრადის (31:29), ზაპოროჟიეს (22:20), ვოლგოგრადის გუნდები (24:19), ფრედ (21:21) დაამთავრეს შეხვედრა მოსკოვის (ცსკა) გუნდთან და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ მასპინძლებთან (23:25). ამრიგად, თბილისელმა ხელბურთელებმა 7 ქულა მოაგროვეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ჩემპიონი გახდა ასტრახანის გუნდი, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო. მესამე ადგილზე ვოლგოგრადელები (5 ქულა) გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდის წევრმა, თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ მამუკა შენგელიამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისელთა მიერ ფინალში გატანილი 121 ბურთიდან მესამედი მამუკას წილად მოდის.

ამ შეჯიბრებისათვის გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა: სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ხუციშვილმა და ოსტატობის კანდიდატმა მერაბ მეტრეველმა.

აი, ისინი ვინც ასტრახანის საკავშირო ტურნირზე ვერცხლის მედლები მოიპოვა: ზურაბ მაჩიტიძე, თემურ მერკვილიშვილი, გიორგი ევსეევი, ვახტანგ უგულავა, გიგლა თოთბერია, ოლეგ გალუევი, ნუკრი უსტიაშვილი, მერაბ გაწერელია, დენის ფედორენკო, როლანდ ერაძე, ზურაბ ტალახაძე და მამუკა შენგელია.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

„იმერეთი" (ქუთაისი) — „ივერია" (ხაშური) 1:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ტროიანი („იმერეთი"), ხარაზიშვილი („ივერია").

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ვ. ზუჩოიანი (თბილისი). გოლები: გოგიაშვილი-2 („ქართლი").

„სქური" (წალენჯიხა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი). გოლები: კვირტია „(სქური"), ჩიქობავა („ეგრისი").

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი). გოლები: მეზუკე, მანუჩაროვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მახარაძე, კვაჭანტირაძე („მერცხალი").

9-მეტრიანი დისტანციის დაუცველობისთვის გააფრთხილეს „მერცხლის" ფეხბურთელი გ. მახარაძე.

„შადრევანი" (წყალტუბო) — „არმაზი" (მცხეთა) 3:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: იობიძე, კერესელიძე-2 („შადრევანი"), სოლოღაშვილი („არმაზი").

„კახეთი" (თელავი) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:3. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლები: როსტომაშვილი, ბალათრიშვილი, აბდულაევი („კახეთი"), შეროზია, ტიბუა, ვ. თუთბერიძე („დინამო").

გააფრთხილეს თელაველი ფეხბურთელები ვ. მაისურაძე (მსაჯთან კამათისთვის) და გ. როსტომაშვილი (უხეში თამაშისთვის).

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 7:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლები: ლაბაძე, ხუჯაძე, დადუნაშვილი, შარაბიძე, კიკნაძე-3 („მეტალურგი"), ნანობაშვილი (ახ. საფეხბ. სკოლა).

„სამგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო"-2-„იმედი" (თბილისი) 2:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი). გოლები: გოგუა, ციმაკურიძე („სამეგრელო").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თბილისელი პ. ჩხაიძე.

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:1. მსაჯი ვ. ზუჩოიანი (თბილისი). გოლები: ი. ჯიოევი, ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი"), ქომეთიანი („კოლხეთი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი მ. დურგლიშვილი და ხობელი ვ. გვასალია.

„მადნეული" (ბოლნისი) — „დინამო" (გაგრა) 0:2. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი). გოლები: ტესლენკო, კვარაცხელია („დინამო").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს დინამოელი მ. ხურცილავა.

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:1. მსაჯი გ. დავითიანი (ბათუმი). გოლები: მონიავა, ჭუბაბრია („სალხინო"), ჯავახაძე („საპოვნელა").

„დურუჯი" (ყვარელი) — „სულორი" (ვანი) 2:3. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი). გოლები: კოპლამაზაშვილი, ლვინიაშვილი („დურუჯი"), ვერულაშვილი, ორმოცაძე, სულაბერიძე („სულორი").

ყვარლელმა ფეხბურთელმა ბ. მხალაძემ უკმაყოფილება გამოთქვა მსაჯის გადაწყვეტილებაზე, რისთვისაც იგი გააფრთხილეს.

### II ჯგუფი

I ქვეჯგუფი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1:1, „ფოსტამტი" (თბილისი) — „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) 3:2, „სამგორი" (გარდაბანი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მიონი"-35 (თბილისი) 5:2, სასწ.-საცდ. მეურნეობა (მუხრანი) — „დუშეთი" (ქვემო ალვანი) 0:1, „სინათლე"-ინტერნატი (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:1, „მშენებელი" (რუსთავი) — „ალაზანი" (გურჯაანი) — 1:0, „მეტალისტი" (რუსთავი) — „ქიზიყი" (სიღნაღი) 3:1.

II ქვეჯგუფი. „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 2:3, „ავტომობილისტი" (გორი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:2, „ვარძია" (ასპინძა) — „არაგვი" (დუშეთი) 2:3, „ალგეთი" (მარნეული) — „თრიალეთი" (წალკა) 3:1, „განთიადი" (დმანისი) — „თორი" (ბორჯომი) 0:5, „გარისი" (თეთრი წყარო) — „მეავეჯე" (ახალდაბა) 1:0, „აბული" (ახალქალაქი) — „კოლმეურნე" (მარნეულის რ-ნი) 7:0, „ზარზმა" (ადიგენი) — „განთიადი" (კასპი) 1:1, „მარაბდა" (კოდა) — „ბაგრატი" (ჯავა) 1:1.

III ქვეჯგუფი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:3, „მარგვეთი" (ჭიათურა) — „ქიმიკოსი" (ამბროლაური) 6:1, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი)—„ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) 4:1, ხდკ (სამტრედია) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 1:0, „მშენებელი" (ჭიათურა) — „მამისონი" (ონი) 6:1.

IV ქვეჯგუფი. „ნარინჯი" (გონიო) — „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) 1:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „დინამო"-2 (ბათუმი) 4:2, „დვაბზუ" (მახარაძე) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 1:1, „ალიონი" (გალის რ-ნი) — „სუბტროპიკი" (სოხუმი) 4:1, „განთიადი" (გაგრა) — „მზიური" (გალი) 1:3, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 2:0, „განთიადი" (ცხაკაია) — „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) 0:2, „კოლხეთი"-2 (ფოთი) — „უნივერსიტეტი" (სოხუმი) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 8 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი" | 6 | 5 | 0 | 1 | 13-7 | 10 |
| „სამეგრელო" | 6 | 4 | 1 | 1 | 11-6 | 9 |
| „კოლხეთი" | 6 | 4 | 1 | 1 | 11-6 | 9 |
| „სქური" | 6 | 3 | 3 | 0 | 13-4 | 9 |
| „მერცხალი" | 6 | 3 | 3 | 0 | 10-2 | 9 |
| „დინამო" გ. | 6 | 3 | 2 | 1 | 9-4 | 8 |
| „სალხინო" | 6 | 2 | 4 | 0 | 7-5 | 8 |
| „საპოვნელა" | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| „დინამო-2"-„იმ." | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 7 |
| „ამირანი" | 6 | 3 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| „ეგრისი" | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 6 |
| „ქართლი" | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 6 |
| „კახეთი" | 6 | 2 | 2 | 2 | 11-12 | 6 |
| ფიზკ. ინსტ. | 6 | 1 | 4 | 1 | 6-7 | 6 |
| „მეტალურგი" | 6 | 2 | 1 | 3 | 10-9 | 5 |
| „სპარტაკი" | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 5 |
| „დინამო" ზ. | 6 | 1 | 3 | 2 | 9-8 | 5 |
| „სულორი" | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 5 |
| „მადნეული" | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 4 |
| „დურუჯი" | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 4 |
| „არმაზი" | 6 | 1 | 1 | 4 | 5-14 | 3 |
| „იმერეთი" | 6 | 0 | 3 | 3 | 5-10 | 3 |
| ახალგ. საფეხ. სკ. | 6 | 1 | 0 | 5 | 5-18 | 2 |
| „ივერია" | 6 | 0 | 1 | 5 | 5-10 | 1 |

### წყალბურთელ გოგონათა საკავშირო ტურნირი

## გოგონები... ბიჭების წინააღმდეგ

ვოლგოდონსკში გამართულ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირზე შეკრებილი მაყურებელი უჩვეულო სანახაობის მოწმე გახდა. მოულოდნელი იყო საქართველოსა და მასპინძელთა გუნდების შეხვედრის შედეგიც — მატჩი ანგარიშით 8:7 სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თბილისელმა უფროსი ასაკის გოგონებმა (1971-72 წწ. დაბადებულნი) ბიჭები დაამარცხეს.

ეს საკავშირო ტურნირი გოგონებისათვის ჩატარდა, მაგრამ იმის გამო, რომ ვოლგოდონსკელებმა უფროსი ასაკის წყალბურთელთა მეორე ნაკრები სუსტთა სქესის წარმომადგენლებით ვერ დააკომპლექტეს, მეტოქე გუნდებისგან თანხმობის მიღების შემდეგ, მათ სარბიელზე ერთი წლით უმცროსი ბიჭები გამოიყვანეს. უფროსი ასაკის გოგონათა გუნდების მთლიანად დაკომპლექტება კისლოვოდსკისა და ნოვომინსკის წარმომადგენლებსაც გაუჭირდათ და ამიტომ ასპარეზობაში შერეული გუნდები ჩაებეს.

საქართველოს ნაკრები ასპარეზობაზე სრულყოფილი გუნდებით წარსდგა, თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელებით შემდგარმა ჩვენმა გუნდმა ვოლგოდონსკელი ბიჭების გარდა ნოვომინსკელებსაც მოუგო (8:5), მაგრამ კისლოვოდსკელების შერეულ გუნდთან და ვოლგოდონსკელ გოგონებთან შეხვედრებში მარცხი იწვნია (შესაბამისად 5:6 და 4:5). საბოლოოდ თბილისელთა გუნდმა, რომლის ღირსებას იცავდნენ ნინო ალავერდოვი, ლელა გოჩალეიშვილი, მედიკო ჯაბადარი, ნატო კაპანაძე, ხათუნა ქათამაძე, ნონა ეკიზაშვილი, სუსანა და ირინა მელოიანები, მეორე ადგილი დაიკავა, გამარჯვება კი მასპინძელ გოგონათა გუნდმა მოიპოვა.

თბილისელთაგან თავი გამოიჩინა კაპანაძემ, რომელმაც საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი დაიმსახურა. ნატომ ორი პენალტი მოიგერია და ექვსჯერ მასთან პირისპირ დარჩენილი თავდამსხმელის ნატყორცნი ბურთებიც აიღო.

უმცროსი ასაკის წყალბურთელთა (1973 წელს და გვიან დაბადებულები) ასპარეზობის მონაწილე გუნდები მთლიანად გოგონებით იყო დაკომპლექტებული. აქ თბილისის განათლების სამმართველოს გუნდმა დაამარცხა ნოვომინსკის (6:4), კისლოვოდსკის (6:4), ვოლგოდონსკისა (10:3) და ხარკოვის გუნდები (11:4) და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა.



თბილისის გოგონათა გუნდების წევრები და მათი მწვრთნელი მალხაზ კაპანაძე

თბილისელთა გუნდში იყვნენ მარინე ბუხნიკაშვილი, მარინე გალანქია, მარინე დავითიანი, ია კორაშვილი, ინა მელოიანი და ნანა ეკიზაშვილი. მათგან ბუხნიკაშვილი, კორაშვილი და ნანა ეკიზაშვილი უფროსი ასაკის გოგონათა გუნდშიც გამოდიოდნენ.

ჩვენი გოგონებიდან ბომბარდირის საუკეთესო თვისებები გამოავლინა 13 წლის მელოიანმა, რომელმაც ხარკოველებთან ფინალურ შეხვედრაში 6 ბურთი გაიტანა.

შეჯიბრებაზე ყველაზე უმცროსი წყალბურთელისთვის დაწესებული პრიზი ნანა ეკიზაშვილმა მიიღო.

აღსანიშნავია, რომ შარშან ჩვენმა უმცროსი ასაკის გოგონებმა მესამე ადგილი დაიკავეს, ახლა კი ყველას აჯობეს. უფროსები ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდმა, რომელსაც მალხაზ კაპანაძე ავარჯიშებს, მაინც წინ გადადგა ნაბიჯი.

ავთანდილ ბუჩიშვილი.

## თასი საბჭოთა სამბისტებს

კასაბლანკაში (მაროკო) ჩატარდა მსოფლიო თასის მორიგი გათამაშება სამბოში. ტურნირში, რომელსაც საფუძველი 1977 წელს ჩაეყარა, მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, ესპანეთის, მაროკოს, მონღოლეთის, ირლანდიის, იტალიის, აშშ-ს და საფრანგეთის გუნდები.

საბჭოთა სამბისტებმა დაამარცხეს ესპანეთის (10:0), მაროკოს (10:0), მონღოლეთის (7:3) მოჭიდავეები და მთავარი პრიზი დაისაკუთრეს. მეორე ადგილზე გავიდა მონღოლეთის, მესამეზე — მაროკოს გუნდი. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მაროკოელ სამბისტთა წარმატება. ამ ქვეყნის მოჭიდავეებს ადრე ასეთი წარმატებისთვის არასდროს მიუღწევიათ.

პირად ტურნირში თავი გამოიჩინეს: ა. ხოდირევმა (48 კგ), გ. ტუტხალიანმა (52 კგ), ა. პარკაჩოვმა (57 კგ), ე. ვასიაგინმა (62 კგ), ვ. იაპრინცევმა (68,) აგრეთვე მონღოლეთის წარმომადგენლებმა გამბოლდმა (74 კგ), დერგედაალაიმ (82 კგ), ბალყინიანმა (90 კგ) და ისევ საბჭოთა მოჭიდავეებმა რ. როციავიჩუსმა (100 კგ) და ვ. რატოვმა (მძიმე).

## საკალათბურთო არითმეტიკა

დღესდღეობით ყველაზე მასობრივი სპორტული გაერთიანება მსოფლიოში კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაა (ფიბა). იგი 163 ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. 120 მილიონზე მეტ კალათბურთელს აქვს შესაბამისი ლიცენზია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღეს მსოფლიოში 120 მილიონზე მეტი რეგისტრირებული კალათბურთელია (მათ შორის 75 მილიონი მამაკაცი, 33 მილიონი ქალი და 12 მილიონამდე სტუდენტი და არმიელი).

მაგრამ არსებობს მასობრიობის სხვა საზომიც, რომელიც სათვალავში აგდებს არაორგანიზებულ კალათბურთელებსაც, მათ, ვინც ამ სახეობას საკუთარი სიამოვნებისთვის მისდევს. ამ ნიშნის მიხედვით ქვეყნებს შორის მსოფლიოში პირველ ადგილზეა ჩინეთი, სადაც კალათბურთის თამაში იცის 70 მილიონმა მამაკაცმა, 30-მა მილიონმა ქალმა და 251 ათასმა სტუდენტმა და სამხედრო მოსამსახურემ.

ჩინური მასშტაბების გვერდით ერთობ უმწეოდ გამოიყურება ამ თამაშის სამშობლო — ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მხოლოდ ერთ მილიონამდე პროფესიონალი კალათბურთელია რეგისტრირებული.

ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ და კანადა) 1020 კალათბურთის დარბაზია, თითოეული 6 ათასი და მეტი მაყურებლისთვის, 35.050 დარბაზი კი 3 ათასამდე მაყურებელს იტევს. ამერიკაში მუშაობს 52 ათასი კვალიფიციური მწვრთნელი. ამ მხრივ ევროპა კალათბურთის სამშობლოს საგრძნობლად ჩამორჩება: 35 ეროვნული ფედერაცია მხოლოდ 6,5 მილიონ კალათბურთელს აერთიანებს. ეს არის და ეს. ევროპაში მხოლოდ 95 საკალათბურთო დარბაზია (6 ათასზე მეტი მაყურებლისათვის), მცირე ზომის დარბაზები კი დაახლოებით 62 ათასი.

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
9 აპრილი
10 საათზე.

### ღრმაწყალ - მარათონი



სანდნესი (ნორვეგია). მსოფლიოს რეკორდსმენმა 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ინგრიდ კრისტიანსენმა ეროვნულ ჩემპიონატში ნახევრადმარათონული დისტანცია (21 კილომეტრი) 1:06.40-ში გაირბინა.

ჰალაპა (მექსიკა). ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მექსიკელმა ერნესტო კანტომ მორიგი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ სიარულში. 20-კილომეტრიან დისტანციაზე მან 1:19.36,68 აჩვენა.

ნიუ-ორლეანი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 10-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი ირლანდიელი ჯონ ტრისი იყო — 27.59,0.

### ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 9 აპრილი. დილის დაჩურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); ჩოგბურთ ჰოკეისტთა ტურნირი — „ოქროს შაიბა" — 10.20 (1); ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე: „პორტო" (პორტუგალია)— „დინამო" (კიევი) — 19.15 (1); რიტმული ტანვარჯიში — 19.55 (2);

10 აპრილი. დილის დაჩურვა — 8.00 (1), დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სპორტული აკრობატიკა — 22.40 (2); შეხვედრა კანადის ჰოკეისთან — 0.10 (1)

საქართველოს ტელევიზია. 9 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში: „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი). 8 აპრილის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — 17.30; ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე: „პორტო" (პორტუგალია) — „დინამო" (კიევი) — 19.15.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06858